

ტრავმის საერთაშორისო კითხვარი (ტსკ) (International Trauma Questionnaire, ITQ)

ზოგადი მიმოხილვა:

თანდართული ინსტრუმენტი წარმოადგენს მოკლედ, გასაგებად ჩამოყალიბებულ საზომს, რომელიც ფოკუსირდება პოსტტრავმული სტრესული აშლილობის (პტსა) და კომპლექსური პოსტტრავმული სტრესული აშლილობის (კპტსა) ცენტრალურ, ძირეულ მახასიათებლებზე და იყენებს მარტივ სადიაგნოსტიკო წესებს. ტსკ შემუშავდა იმ ფორმით, რომ შესაბამისობაში ყოფილიყო ჯანმო-ს მიერ ჩამოყალიბებულ, დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის (ICD-11) საორგანიზაციო პრინციპებთან, როგორცაა კლინიკური ღირებულების მაქსიმიზაცია და საერთაშორისო გამოყენებადობის უზრუნველყოფა, მოცემული აშლილობის ძირეულ სიმპტომებზე ფოკუსირების გზით. ტსკ თავისუფლად არის ხელმისაწვდომი საჯარო სივრცეში ყველა დაინტერესებული მხარისთვის. საზომის შეფასება ჯერ კიდევ გრძელდება, განსაკუთრებით ფუნქციური მოშლის დეფინიციასთან მიმართებაში (როგორც პტსა-ს, ისე კპტსა-ს შემთხვევაში) და შესაძლოა, პუნქტების შინაარსთან მიმართებაშიც, ვინაიდან არ არის გამორიცხული, ისინი პროგნოზული მნიშვნელობის გამოდგეს დიფერენცირებული მკურნალობის გამოსავლის თვალსაზრისით.

სადიაგნოსტიკო ალგორითმები შემდეგნაირია:

პტსა. პტსა-ს დიაგნოზი მოითხოვს ერთი ან ორი სიმპტომის გამოვლენას სიმპტომთა მოცემული ჯგუფებიდან: (1) ტრავმული მოვლენის ხელახალი განცდა აწმყოში (2) ტრავმული მოვლენის გახსენებისთვის თავის არიდება; (3) მიმდინარე საფრთხის შეგრძნება; და გარდა ამისა - ამ სიმპტომებთან დაკავშირებული ფუნქციური მოშლის მინიმუმ ერთი ინდიკატორის გამოვლენას. სიმპტომის, ან ფუნქციური მოშლას ინდიკატორის გამოვლენად ჩაითვლება ≥ 2 ქულა შესაბამის პუნქტში.

კპტსა. კპტსა-ს დიაგნოზი მოითხოვს ერთი ან ორი სიმპტომის გამოვლენას პტსა-ს სიმპტომთა თითოეული ჯგუფიდან (ხელახალი განცდა აწმყოში თავის არიდება, მიმდინარე საფრთხის შეგრძნება) და აგრეთვე, ერთი ან ორი სიმპტომის გამოვლენას თვითორგანიზაციის დარღვევების (თოდ) თითოეული ჯგუფიდან: (1) აფექტური დისრეგულაცია; (2) ნეგატიური თვითაღქმა; (3) პრობლემები ურთიერთობებში. ფუნქციური მოშლა უნდა იდენტიფიცირდეს, როცა ვლინდება პტსა-ს სიმპტომებთან დაკავშირებული ფუნქციური მოშლის მინიმუმ ერთი ინდიკატორი და თოდ-ის სიმპტომებთან დაკავშირებული ფუნქციური მოშლის ერთი ინდიკატორი. სიმპტომის, ან ფუნქციური მოშლის ინდიკატორის გამოვლენად ჩაითვლება ≥ 2 ქულა შესაბამის პუნქტში.

პირს შეიძლება დაესვას პტსა-ს ან კპტსა-ს დიაგნოზი, მაგრამ არა ორივე ერთად. თუ პირი აკმაყოფილებს კპტსა-ს კრიტერიუმებს, მაშინ მაშინ მას პტსა-ს დიაგნოზი აღარ დაესმება.

ქულების მინიჭების ინსტრუქციები მოცემულია ამ დოკუმენტის ბოლოს.

ინსტრუმენტის ლიტერატურული წყარო:

Cloitre M, Shevlin M, Brewin CR, Bisson JI, Roberts NP, Maercker A, Karatzias T, Hyland P. The International Trauma Questionnaire: development of a self-report measure of ICD-11 PTSD and complex PTSD. *Acta Psychiatr Scand*. 2018 Dec;138(6):536-546. doi: 10.1111/acps.12956. Epub 2018 Sep 3. PMID: 30178492.

დამატებითი პუბლიკაციები:

Brewin, C. R., Cloitre, M., Hyland, P., Shevlin, M., Maercker, A., Bryant, R. A.,...Reed, G. M. (2017). A review of current evidence regarding the ICD-11 proposals for diagnosing PTSD and complex PTSD. *Clinical Psychology Review*, 58, 1-15. doi: 10.1016/j.cpr.2017.09.001.

Karatzias T., Shevlin M., Fyvie C., Hyland P., Efthymiadou E., Wilson D.,...Cloitre M. (2017). Evidence of distinct profiles of posttraumatic stress disorder (PTSD) and complex posttraumatic stress disorder (CPTSD) based on the new ICD-11 trauma questionnaire (ICD-TQ). *Journal of Affective Disorders*, 207, 181-187. <http://dx.doi.org/10.1016/j.jad.2016.09.032>

Hyland, P., Shevlin M., Brewin C.R., Cloitre M., Downes A.J., Jumbe, S.,...Roberts, N.P. (2017). Validation of post-traumatic stress disorder (PTSD) and complex PTSD using the International Trauma Questionnaire. *Acta Psychiatrica Scandinavica*. 136, 313-322. doi: 10.1111/acps.12771.

Shevlin, M., Hyland, P., Roberts, N. P., Bisson, J. I., Brewin C.R. & Cloitre M. (2018). A psychometric assessment of Disturbances in Self-Organization symptom indicators for ICD-11 Complex PTSD using the International Trauma Questionnaire, *European Journal of Psychotraumatology*, 9:1, DOI: 10.1080/20008198.2017.1419749

ტრავმის საერთაშორისო კითხვარი

ინსტრუქციები: გთხოვთ, დაასახელოთ წარსული გამოცდილება (მოვლენა), რომელიც ყველაზე მეტად განუხებთ და უპასუხოთ კითხვებს ამ გამოცდილებასთან დაკავშირებით.

გამოცდილების მოკლე აღწერილობა -----

როდის მოხდა ეს მოვლენა/გამოცდილება? (შემოხაზეთ ერთ-ერთი).

- ა. 6 თვეზე ნაკლები ხნის წინ
- ბ. 6-12 თვის წინ
- გ. 1-5 წლის წინ
- დ. 5-10 წლის წინ
- ე. 10-20 წლის წინ
- ვ. 20 წელზე მეტი ხნის წინ

ქვემოთ ჩამოთვლილია გარკვეული პრობლემები, რომლებსაც ზოგჯერ განიცდიან ადამიანები ცხოვრებისეული ტრავმული ან სტრესული გამოცდილების საპასუხოდ. გთხოვთ, ყურადღებით წაიკითხოთ თითოეული მათგანი, შემდეგ შემოხაზოთ მარჯვენა მხარეს მოცემული ერთ-ერთი რიცხვი, იმის მიხედვით, თუ რამდენად განუხებდათ აღნიშნული პრობლემა უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში.

| | საერთო დარა | ცოტათი | ზომიერად | საკმაოდ ძლიერად | ძალიან ძლიერად |
|--|----------------|--------|----------|--------------------|-------------------|
| P1. შემანუხებელი სიზმრები, რომლებიც იმეორებს აღნიშნული გამოცდილების გარკვეულ ნაწილებს, ან ცალსახად არის დაკავშირებული ამ გამოცდილებასთან | 0 | 1 | 2 | 3 | 4 |
| P2. მკვეთრი გამოსახულებები ან მოვონებები, რომლებიც პერიოდულად ჩნდება გონებაში და გიტოვებთ შეგრძნებას, თითქოს აღნიშნული მოვლენა ისევ ხდება ანმყოში. | 0 | 1 | 2 | 3 | 4 |
| P3. გამოცდილების შინაგანი შემახსენებლების (ფიქრები, გრძნობები, ფიზიკური შეგრძნებები) მიმართ მაქსიმალურად თავის არიდება. | 0 | 1 | 2 | 3 | 4 |
| P4. გამოცდილების გარეგანი შემახსენებლების (ადამიანები, ადგილები, საუბრები, ნივთები, ქმედებები, სიტუაციები) მიმართ მაქსიმალურად თავის არიდება. | 0 | 1 | 2 | 3 | 4 |
| P5. მუდმივი „ზე-სიფხიზლე“, სიფრთხილე, დაძაბულობა | 0 | 1 | 2 | 3 | 4 |
| P6. შინაგანი მოუსვენრობა, ადვილად შეკრთომა მცირე გამღიზიანებელზე. | 0 | 1 | 2 | 3 | 4 |

უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში ზემოთაღნიშნული პრობლემები:

| | | | | | |
|--|---|---|---|---|---|
| P7. ხელს გიშლიდათ ურთიერთობებსა და სოციალურ ცხოვრებაში. | 0 | 1 | 2 | 3 | 4 |
| P8. ხელს გიშლიდათ მუშაობაში და მუშაობის უნარში. | 0 | 1 | 2 | 3 | 4 |
| P9. ხელს გიშლიდათ ცხოვრების სხვა მნიშვნელოვან ასპექტებში, როგორცაა მაგ. ბავშვების მოვლა, სწავლა სკოლაში ან უნივერსიტეტში ან სხვა მნიშვნელოვანი აქტივობები. | 0 | 1 | 2 | 3 | 4 |

ქვემოთ ჩამოთვლილია პრობლემები, რომელთაც ზოგჯერ განიცდიან ადამიანები სტრესული ან ტრავმული მოვლენების გადატანის შემდეგ. კითხვები შეეხება იმას, თუ ჩვეულებრივ როგორ გრძნობთ თავს, ჩვეულებრივ რას ფიქრობთ საკუთარ თავზე და

ჩვეულებრივ რას გრძნობთ სხვების მიმართ. უპასუხეთ კითხვებს იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად შეგეფერებათ თითოეული გამონათქვამი.

| რამდენად მართალია? | საერთოდ არა | ცოტათი | ზომიერად | საკმაოდ ძლიერად | ძალიან ძლიერად |
|--|-------------|--------|----------|-----------------|----------------|
| C1. როცა ხასიათი მიფუჭდება, დიდი ხანი მჭირდება დასამშვიდებლად. | 0 | 1 | 2 | 3 | 4 |
| C2. გაბრუებული ან ემოციურად გამოფიტული ვარ. | 0 | 1 | 2 | 3 | 4 |
| C3. ვგრძნობ, რომ წარუმატებელი ვარ. | 0 | 1 | 2 | 3 | 4 |
| C4. ვგრძნობ, რომ უსარგებლო ვარ. | 0 | 1 | 2 | 3 | 4 |
| C5. ადამიანებისგან დაშორებულად, მონყვეტილად ვგრძნობ თავს. | 0 | 1 | 2 | 3 | 4 |
| C6. მიჭირს ადამიანებთან ემოციური კავშირის შენარჩუნება | 0 | 1 | 2 | 3 | 4 |

ზემოთ აღნიშნული პრობლემები, რომლებიც შეეხება თქვენს ემოციებსა და რწმენებს საკუთარ თავთან და სხვებთან მიმართებაში, უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში:

| | | | | | |
|--|---|---|---|---|---|
| C7. მნიშვნელოვან სტრესს და სირთულეს გიქმნიდათ ურთიერთობებში და სოციალურ ცხოვრებაში. | 0 | 1 | 2 | 3 | 4 |
| C8. ხელს გიშლიდათ მუშაობაში და მუშაობის უნარში. | 0 | 1 | 2 | 3 | 4 |
| C9. ხელს გიშლიდათ ცხოვრების სხვა მნიშვნელოვან ასპექტებში, როგორცაა მაგ. ბავშვების მოვლა, სწავლა სკოლაში ან უნივერსიტეტში ან სხვა მნიშვნელოვანი აქტივობები. | 0 | 1 | 2 | 3 | 4 |

1. პტსა-ს და კპტსა-ს სადიაგნოსტიკო ქელობრივი შეფასება

პტსა

თუ P1 ან P1 \geq 2: კმაყოფილდება ანმყოფი ხელახალი განცდის (*Re-experiencing*) კრიტერიუმები (*Re_dx*)
თუ P3 ან P4 \geq 2: კმაყოფილდება თავის არიდების (*Avoidance*) კრიტერიუმები (*Av_dx*)
თუ P5 ან P6 \geq 2: კმაყოფილდება მიმდინარე საფრთხის შეგრძნების (*Sense of current threat*) კრიტერიუმები (*Th_dx*)

და

თუ რომელიმე მაინც P7, P8 ან P9 \geq 2: კმაყოფილდება პტსა-თი გამონვეული ფუნქციური მოშლის (PTSDFI) კრიტერიუმები.

თუ კმაყოფილდება Re_dx კრიტერიუმები **და** Av_dx კრიტერიუმები **და** Th_dx კრიტერიუმები **და** PTSDFI კრიტერიუმები, ეს ნიშნავს, რომ კმაყოფილდება პტსა-ს სადიაგნოსტიკო კრიტერიუმები.

კპტსა

თუ C1 ან C2 \geq 2: კმაყოფილდება აფექტური დისრეგულაციის (*Affective dysregulation*) კრიტერიუმები (*AD_dx*)

თუ C3 ან C4 \geq 2: კმაყოფილდება ნეგატიური თვითაღქმის (*Negative self-concept*) კრიტერიუმები (*NSC_dx*)

თუ C5 ან C6 \geq 2: კმაყოფილდება ურთიერთობის სირთულეების (*Disturbances in relationships*) კრიტერიუმები (*DR_dx*)

და

თუ რომელიმე მაინც C7, C8 ან C9 \geq 2: კმაყოფილდება თოდ-ით გამონვეული ფუნქციური მოშლის (DSOFI) კრიტერიუმები.

თუ კმაყოფილდება AD_dx კრიტერიუმები **და** NSC_dx კრიტერიუმები **და** DR_dx კრიტერიუმები **და** DSOFI კრიტერიუმები, ეს ნიშნავს, რომ კმაყოფილდება თოდ-ის სადიაგნოსტიკო კრიტერიუმები.

პტსა-ს დიაგნოზი ისმება, თუ კმაყოფილდება პტსა-ს კრიტერიუმები, მაგრამ არა თოდ-ის (თვით-ორგანიზაციის დარღვევა) კრიტერიუმები.

კპტსა-ს დიაგნოზი ისმება, თუ კმაყოფილდება პტსა-ს კრიტერიუმებიც **და** თოდ-ის კრიტერიუმებიც.

თუ პტსა-ს კრიტერიუმები არ კმაყოფილდება, ან მხოლოდ თოდ-ის კრიტერიუმები კმაყოფილდება, დიაგნოზი არ ისმება.

2. პტსა-ს და კპტსა-ს განზომილებითი ქულობრივი შეფასება

შესაძლებელია, დაითვალოს ქულები პტსა-ს და თოდ-ის თითოეული სიმპტომური ჯგუფისთვის და დაჯამდეს პტსა-ს და თოდ-ის ჯამური ქულის მისაღებად.

პტსა

P1-ის და P2-ის ე.წ. ლიკერტის ქულების ჯამი = აწმყოში ხელახალი განცდის (*Re-experiencing*) ქულა (*Re*)

P3-ის და P4-ის ლიკერტის ქულების ჯამი = თავის არიდების (*Avoidance*) ქულა (*Av*)

P5-ის და P6-ის ლიკერტის ქულების ჯამი = მიმდინარე საფრთხის შეგრძნების (*Sense of current threat*) ქულა (*Th*)

პტსა-ს ქულა = Re, Av და Th ქულების ჯამი

თოდ (თვით-ორგანოზაციის დარღვევა)

C1-ის და C2-ის ლიკერტის ქულების ჯამი = აფექტური დისრეგულაციის (*Affective dysregulation*) ქულა (*AD*)

C3-ის და C4-ის ლიკერტის ქულების ჯამი = ნეგატიური თვითაღქმის (*Negative self-concept*) ქულა (*NSC*)

C5-ის და C6-ის ლიკერტის ქულების ჯამი = ურთიერთობის სირთულეების (*Disturbances in relationships*) ქულა (*DR*)

თოდ ქულა = AD, NSC და DR ქულების ჯამი